

პაბრაღე

აჲ სულებჲე მრავალი თქმულება და ლექსია შემორჩენილი მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში. ერთი ნაწილი ამ თემაზე შექმნილი ლექსებისა იმ აზრს გამოხატავს, რომ აჲი, ბოროტი სული დღენიადაც ტყე-ღრეში ცხოვრობს და მრავალის სახის მაცლურობით შეუძლია ავნოს ადამიანს. ასეთები არიან ოჩოკოჩები, ტყაშმაფები, ჭინკები და ა.შ.

არის ისეთი აზრიც, რომ აჲი სულები თვით ადამიანთა შორის მოიპოვებიან. ისინი ცხოვრებისეულ თვისებათა გარდა გრძნეულური, ეშმაკისეული თვისებების მატარებელი არიან. თავს ისე მოგაჩვენებენ, როგორც მათ სურთ. მაგალითად, წარმოგვიდგებიან უფრო კატის სახით და ღამლამობით მგლებზე მჯდომნი დათარეშობენ. ასეთი ბოროტებით საესე ეშმაკეული თვისების მქონე არსება მაცლურებით მოქმედებს ადამიანთა მიმართ, გათვალავს მას და სხვა.

ტყის აჲი სულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სასიმღერო-საცეკვაო ლექსში გამოხატული „პაბრაღე“, რომლისაც ახლო წარსულშიც ეშინოდათ. მისი პირეული სახელწოდება მ(ვ)აბრარე უნდა იყოს, რაც მეგრულად მუხანათს ნიშნავს. თავისი შინაარსით მას ლეგენდარულ ეპოქაში აქვს ფესვები გადგმული; ლექსი საფერხულო ცეკვის მისამღერებლად ყოფილა გამოყენებული და გამოხატავდა აღქაფის სახით ტყიდან მოვარდნილი მ(ვ)აბრას (მუხანათი და ბოროტი სულის) თავდასხმის მოლოდინში მის წინააღმდეგ შურისგებით ამოქმედებული ადამიანის საბრძოლო განწყობილებას. ღრთა განმავლობაში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ლეგენდარულ წარმოდგენებსაც გამოეცალათ შინაარსი და მ(ვ)აბრარე სახელმაც ფორმა პაბრაღე მიიღო, ხოლო მუხანათის, ავსულის წინააღმდეგ მებრძოლმა გმირმა მასხარას მნიშვნელობა მოიპოვა. მ(ვ)აბრარეს წაბაძვით, მის პარალელურად, გაჩნდა სასუმარო-საცეკვაო ლექსის ვარიანტები, რომლებიც გუნდური ცეკვის მაგივრად სოლოთი სრულდება. ამ სახით წარმოიქმნა „ჯანსულო“. „ჯანსულოს“ ახლანდელი ტექსტის ავტორ-მთქმელებად იონა და ბართლომე სართანიები ითვლებიან, ხოლო ცეკვის ახალი რეპერტუარის შემქმნელად და მის პირველ შემსრულებლად დ. კიტაის აღიარებენ. ამჟამად ეს ორი სიმღერა „პაბრაღე (მ(ვ)აბრარე)“ და „ჯანსულო“ ერთმანეთის პარალელურად არსებობს. მეორე პირველის წაბაძვით შექმნილა, მაგრამ მასაც აქვს რაღაც თავისი პირველწყარო.

პავლე და ბეგლარ აკობიების მიერ შექმნილი მ(ვ)აბრარე – პაბრაღე კეთილი სულის სადიდებლად შექმნილ ლექსადაა მიჩნეული, რაც სინამდვილეს მოკლებულია, ვინაიდან სხვადასხვა მხარეში (ოჭუშში, აბაშაში და ზუგდიდში) ჩაწერილი ვარიანტები თავისი შინაარსით აჲი სულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების მატარებელია, რაც უშუალოდ გამოსახულია თვით ლექსში. აგერ ფრაგმენტიც:

„ჰაი პაბრა სქანი ლურა
სი მაჰაკვალ ჩინდი ლულა
ჰე ბოშეფი სო რე მუურს
ცანცალქ გემიოლუ გურს
ქემმეხვარიო არძაქ ვარა
ვორწყექ მუჯო ობჯკუმუნს“

ჰაი, პ(ე)აბრა, შენი სიკედილი,
შე მჰაკვარო, ცხვირ მოღრეცილო!
ეჰე, ბიჭებო, ეგერ მოღის!
კანკალი ამივარდა გულის!
მომეშველეო ყველა თორემ,
ვხედავ როგორ შემტამს!

ამ სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა პ(ე)აბრას მიმართ სიმულოვისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით განწყობა. კარგი იქნება თუ ხალხური სიმღერის გადაკეთებას არ მიმართავენ ცალკეული პირები, რომლებიც საკუთარი ფანტაზიით ქმნიან ლექსის პირვანდელი შინაარსისაგან დაშორებულ გადმოცემებს, რაც ზემოთაღნიშნულ ხალხური შემოქმედების სიწმინდეს ზიანს აყენებს.

პ(ე)აბრაზე შექმნილ ლექს-სიმღერების წყებას განეკუთვნებიან: თქმულებები ოჩოკოჩე, ტყაშმაფაზე, ჭინკებზე, მაჰაკვალეზე და ა.შ.

სხვათა შორის, ოჩოკოჩი „ვაცკაცადა“ გაგებული. სინამდვილეში კი მეგრულში „ოჩე“ ღიღს, ვეებას ნიშნავს. ოჩეშ ხვე დო ხვარიელი – ღიღი ყანის ხვაფი და ბარაქა მოგცემოდესო. ქართულში ოჩოფესა ღღეს ღიღ, გრძელო და უშნოფესებას ნიშნავს და მას ხისგან გამოთლილო, ტბორებსა და ტალახებში სასიარულო საშუალებასაც ეძახიან.

კალისტრატე სამუშია,
ქართული ხალხური პოეზიის საკითხები,
მეგრული ნიმუშები,
1979წ. თბილისი.